

ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ

2011 წლის 31 მაისს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე – **ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ** (განაცხადი №5829/04) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ:

- არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მიხაილ ხოდორკოვსკის მიმართ 2003 წლის 25 ოქტომბრიდან 2005 წლის 8 აგვისტომდე პატიმრობის პერიოდში;
- დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მიხაილ ხოდორკოვსკის მიმართ 2005 წლის 8 აგვისტოს შემდეგ მისი საგამოძიებო იზოლატორში და ასევე, სასამართლო დარბაზში ყოფინისას.
- დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი მიხაილ ხოდორკოვსკის მიმართ 2003 წლის 25 ოქტომბერს მისი დაკავებისას;
- არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი მიხაილ ხოდორკოვსკის მიმართ გამოძიებისას პატიმრობაში ყოფნის პერიოდში;
- დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი მიხაილ ხოდარკოვსკის მიმართ დაკავების ხანგრძლივობის გამო;
- დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი მიხაილ ხოდარკოვსკის მიმართ სასამართლო განხილვისას პატიმრობაში ყოფნის პერიოდში;
- არ დარღვეულა კონვენციის მე-18 მუხლი მიხაილ ხოდარკოვსკის მიმართ, რომელიც ამტკიცებდა, რომ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

საქმე ეხება რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის მიმართ ეკონომიკური დანაშაულისათვის წარდგენილ ბრალდებას და რამდენიმე წილით პატიმრობას.

საქმის ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი მიხაილ ხოდარკოვსკი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1963 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის ციხეში. პარალელურად წაყენებული აქვს ახალი ბრალდება მეორე სისხლის სამართლის საქმის გამო.

2003 წლის ოქტომბერში დაპატიმრებამდე ბატონი ხოდორკოვსკი იყო რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი. ის ფლობდა კომპანია „იუკოსის“ მთავარ აქციებს, რომელმაც 2007 წელს შეწყვიტა არსებობა გაკოტრების გამო. ის ასევე აკონტროლებდა სხვადასხვა საბაზოებს, ინდუსტრიულ და ფინანსურ კომპანიებს. დაახლოებით 2002 წლიდან იგი ჩაება პოლიტიკაში, აფინანსებდა რა ოპოზიციურად განწყობილ პარტიებს, დიად აკრიტიკებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკას და ამავე დროს უწოდებდა ანტი-დემოკრატიულს.

2003 წლის 23 ოქტომბერს განმცხადებელმა მიიღო შეტყობინება (უწყება), რომლის თანახმადაც მოწმის სტატუსით იბარებდენენ გამომძიებელთან სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად. განმცხადებელმა გამოძიებას აცნობა, რომ დათქმულ დღეს ის ვერ შეძლებდა გამოცხადებას, რადგან საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა აღმოსავლეთ რუსეთში. 2003 წლის 25 ოქტომბერს დილით ადრე სამართალ-დამცველების შეიარაღებულმა ჯგუფმა გზა გადაუკეტა ხოდორკოვსკის თვითმფრინავს ნოვოსიბირსკის აეროპორტში. იგი დაპატიმრეს და გადააფრინეს მოსკოვში.

25 ოქტომბერს ბატონი ხოდორკოვსკი პირველ ეტაპზე დაკითხეს როგორც მოწმე. შემდეგ მას წაუკენეს ბრალი სხვადასხვა ეკონომიკურ დანაშაულში. ბრალდება, რომელიც წარუდგინეს დღის 14:20-ზე იყო 35-გვერდიანი. დაახლოებით შვიდი საათის შემდეგ ის დააპატიმრეს სასამართლოს ბრძანებით ბრალდების სიმძიმდან გამომდინარე და იმ მოსაზრებით, რომ მას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა მოწმეებზე, გაენადგურებინა მტკიცებულებები, ან ჩაედინა ახალი დანაშაულობები თუ გამოუშვებდნენ. სასამართლომ არ დააკონკრეტა, თუ რა ვადით იყო ბატონი ხოდორკოვსკი დაპატიმრებული.

2003 წლის 17 დეკემბერს, პროკურატურამ მიმართა სასამართლოს – 300 გვერდზე მეტი დოკუმენტით – გაეგრძელებინა ბატონი ხოდორკოვსკისათვის პატიმრობის ვადა. მისმა აღვოკატებდა ვერ მიიღეს ამ მოთხოვნის ასლი საქმის განხილვის დაწყებამდე.

2003 წლის 23 დეკემბრიდან 2005 წლის 24 მარტამდე, რუსეთის სასამართლოებმა შვიდჯერ გააგრძელეს ბატონი ხოდორკოვსკის პატიმრობის ვადა. პატიმრობის გაგრძელების მოტივაციისას, როგორც წესი, ისინი უმეტესად ეყრდნობოდნენ იმავე არგუმენტებს, რაც წინა დაპავებისას იყო მოხსენიებული. მომდევნო ეტაპზე პატიმრობის ვადის ორჯერ გაგრძელებისას არანაირი დასაბუთება არ გამოიყენეს. არცერთ შემთხვევაში სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებაში არათუ არ გამოიყენეს სხვა სახის აღმკვეთი დონისძიება, არც კი ეცადეს ემსჯელათ სხვა, ნაკლებად მკაცრი აღმკვეთი დონისძიების გამოყენებაზე.

ამას გარდა, სასამართლოს პირველი ორი გადაწყვეტილება აღკვეთის დონისძიების განსაზღვრაზე გამოტანილ იქნა დახურულ სხდომაზე, რა დროსაც სასამართლომ არ მიუთითა, თუ რამდენ ხანს უნდა გაგძლებულიყო განმცხადებლის პატიმრობის ვადა. ამ სხდომების მიმდინარეობისას ბატონი ხოდორკოვსკის შესაძლებლობა ჰქონდა ურთიერთობა ჰქონდა თავის ადვოკატებთან მხლოდ ბადრაგის თანდასწრებით და მხლოდ გალიის გისოსებიდან, რომელშიც განმცხადებელი მოთავსებული იყო სასამართლოს დარბაზში. ერთ-ერთი ასეთი მოსმენა გაიმართა განმცხადებლისა და მისი ადვოკატების გარეშე, ხოლო მისი 2004 წლის 16 ივნისის შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე, განუხილველად იქნდა დატოვებული. ბატონი ხოდორკოვსკი ჩიოდა სასამართლოს მიერ პატიმრობის ვადის გაგრძელების გამო, მაგრამ არცერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სასამართლოები იხილავდნენ მის საჩივრებს ხუთი დღიდან ერთი თვისა და 9 დღის განმავლობით დროის მონაკვეთში.

2003 წლის 11 ნოემბერს ბატონი ხოდორკოვსკის ერთ-ერთი ადვოკატი ციხეში შეხვდა მას. საგამოძიებო იზოლატორიდან გამოსვლისას ციხის ზედამხედველებმა იგი გაჩხრიკეს. ჩხრეკისას ამოიღეს საქმის ირგვლივ მომზადებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები, ასევე

სამართლებრივი პოზიციის პროექტი პლატონ ლებედევის – კომპანია „იუკოსის“ მმართველობაში შემავალი ერთ-ერთი პოლდინგის დირექტორის – საქმის ირგვლივ, რომელიც ამავე საქმეზე იყო ბრალდებული. რუსეთის მთავრობის მტკიცებით, ეს ჩანაწერები აპლიკანტი ხოდარკოვსკის მიერ უკანონოდ იყო გადაცემული და აქედან გამომდინარე ამ დოკუმენტაციაზე არ გავრცელდა ის პრივატული მტკიცები, რაც ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობიზე ვრცელდება. ამას გარდა, ადგილობრივმა სასამართლოებმა ეს ჩანაწერები ჩათვალეს იმის მტკიცებულებად, რომ ბატონი ხოდორკოვსკი აპირებდა თავის საქმეში მონაწილე მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენას. თავად ბატონი ხოდორკოვსკი დაუინებით ამტკიცებდა, რომ მისი ადვოკატის ჩხრეკა იყო უკანონო და თავის მხრივ წარმოადგენდა ადვოკატსა და მისი დაცვის ქვეშ მყოფს შორის ურთიერთობების წესების კიდევ ერთ დარღვევას.

სასამართლო განხილვების დროს ბატონი ხოდორკოვსკი დაკავებული იყო მოსკოვის ორ სხვადასხვა საგამოძიებო იზოლატორში. განმცხადებელი ჩიოდა მისი პატიმრობის პირობებზე და აღნიშნავდა, რომ საქნები იყო გადატვირთული, სადაც ან ძალიან ციოდა, ან ძალიან ცხელოდა. განმცხადებლის საკანში არ იყო ვენტილაცია, ხოლო საპირფარეშოებით სარგებლობა იყო ყოვლად დამამცირებელი. განმცხადებელს შეეძლო მხოლოდ კვირაში ერთხელ დაბანა. მასთან არ უშვებდნენ არც დამოუკიდებელ ექსპერტებს და არც მის პირად ექიმებს. სასამართლო განხილვების დროს იგი მოთავსებული ჰყავდათ რკინის გისოსებიან გალიაში, სადაც ბადრაგთან ერთად იჯდა ხერბოკილებით.

2005 წლის 31 მაისს ბატონი ხოდორკოვსკი სასამართლომ დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა რვა წლით პატიმრობის ვადა. სასჯელის მოსახლეობა გადაიგზავნა ჩიტაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-5 და მე-18 მუხლებზე დაყრდნობით ბატონი ხოდორკოვსკი ჩიოდა, რომ იგი დაპატიმრებული იყო უკანონოდ და ძალიან დიდი ხანი იმყოფებოდა საშინელ პირობებში და რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი შევიდა 2004 წლის 9 თებერვალს.

კონვენციის მე-3 მუხლი (პირობები დაკავებისას და სასამართლოში)

სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი ხოდორკოვსკის პატიმრობის პირობები მისი დაკავებიდან 2005 წლის 8 აგვისტომდე, შესაბამისი იყო და არ დაგვევდა კონვენციის საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ საკანში არ იყო საკმარისი ვენტილაცია და შეუძლებელი იყო საპირფარეშოში ზედამხედველების გარეშე შესვლა, მას (განმცხადებელს) საშუალება ჰქონდა თავისი ნათესავებისგან მიეღო ამანათები, რომელშიც საკვები და მედიკამენტები იყო, ასევე დამატებითი გადასახადის საფასურად, შეეძლო ევარჯიშა ციხის სპორტულ დარბაზში.

თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი ხოდორკოვსკი იმყოფებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში 2005 წლის 8 აგვისტოდან 9 ოქტომბრის ჩათვლით. მის საკანში ყოვლად მიუდებელი ანტისანიტარული პირობები იყო და ერთ პირზე 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართი მოდიოდა. აღნიშნული, სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.

სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის დარღვევას ასევე ადგილი ჰქონდა განმცხადებლის მიმართ სასამართლო დარბაზში მისი ყოფნის პირობების გამო. განმცხადებელი ბრალდებული იყო ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც არანაირად დაკავშირებული არ იყო ძალადობასთან და იგი არ იყო ადრე ნასამართლევი, ასევე არ არსებობდა იმის საფუძველი, რომ განმცხადებელი აგრესიულობისკენ იყო მიღრეკილი. მიუხედავად ამისა, სასამართლოში საქმის განხილვისას, რომელიც საჯაროდ, დია განხილვით მიმდინარეობდა და ხელმისაწვდომი იყო ფართო აუდიტორიისათვის, განმცხადებელს ამყოფებდნენ რკინის გისოსებიან გალიაში, რაც შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო მისთვის, თუნდაც თავისი თავის წინაშე და აღძრავდა არასრულფასოვნების შეგრძებას..

კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი“ (დაკავება)

ბატონი ხოდორკოვსკი 2003 წლის 23 ოქტომბერს არ გამოცხადდა ჩვენების მისაცემად, რომელიც მას უნდა ჩამორთმეოდა, როგორც მოწმის სატატუსის მქონეს. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება არ შეიძლება იყოს გამამართლებელი არგუმენტი მისი დაპატიმრებისა და მოსკოვში ტრანსპორტირებისათვის. ასეთი მოპყრობა უფრო მეტად შეეფერებოდა საშიშ კრიმინალს, ვიდრე მოწმეს, რომელსაც იგი წარმოადგენდა იმ დროისათვის. ამას გარდა, 2005 წლის 25 ოქტომბერს, რამდენიმე საათის შემდეგ მისი, როგორც მოწმის დაკითხვიდან, ბატონ ხოდორკოვსკის წარუდგინეს 35-გვერდიანი საბრალდებო დასკვნა, რომელიც მის წინააღმდეგ იყო წაყენებული და 9-გვერდიანი შუამდგომლობა მისი დაპატიმრების მოთხოვნის თაობაზე.

ის ტემპი, რა სიჩქარითაც გამომძიებლები მოქმედებდნენ გვაფიქრებინებს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ აღრევე იყო მომზადებული ეს მასალები და მათ სურდათ ხოდორკოვსკის დაპატიმრება და არა როგორც უბრალო მოწმის დაკითხვა. შესაბამისად, მისი დაკავება იყო უკანონო, რადგან ეს ემსახურებოდა სრულიად სხვა მიზანს განსხვავებით იმისგან, რაც ოფიციალურად იყო განცხადებული.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი (შემდგომი საჩივარი პროცედურული ხასიათის დარღვევებზე)

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებიდან პირველი ორი სხდომა დახურული იყო და მისი დაპატიმრების ბრძანებაში მითითებული

არ იყო პატიმრობის კონკრეტული ვადა, რაც ადგილობრივი სასამართლოების მხრიდანაც განმეორდა. მიუხედავად ამ გარემოებებისა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბატონ ხოდორკოვსკის შეეძლო მიეღო ინფორმაცია მისი პატიმრობის სანგრძლივობის შესახებ რუსეთის კანონმდებლობის გათვალისწინებით თავისი იურიდიული მრჩევებისგან, რომლებიც მას კარგად იცავდნენ სასამართლოზე.

კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი (პატიმრობის ხანგრძლივობა და განმცხადებლის ადვოკატისათვის ჩანაწერების ჩამორთმება)

სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი ხოდორკოვსკის პირველი დაპატიმრება გამართლებული იყო სავარაუდო რისკის ფაქტორით, რადგან ის (განმცხადებელი) იყო რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და პქონდა პოლიტიკური გავლენა, თუნდაც ეს გავლენა არაოფიციალური ხასიათის ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ორ შემთხვევაში, 2004 წლის 20 მაისსა და 8 ივნისს, მისი პატიმრობაში ყოფნა გაგრძელდა ყოველგვარი დასაბუთებისა და კანონიერი საფუძველის გარეშე.

ამას გარდა, ადგილობრივ სასამართლოებს უნდა გამოეკვლიათ, შესაძლებელი იყო თუ არა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების ფორმის გამოყენება განმცხადებლის მიმართ, ვიდრე უკიდურესი ფორმა – პატიმრობის შეფარდება.

და ბოლო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი – სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი ადვოკატისათვის ჩამორთმეული ჩანაწერები გაკეთებული იყო ბატონ ხოდორკოვსკისთან მისი დაკითხვის დროს და უშუალოდ შეეხებოდა განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმეს. შესაბამისად, ეს მასალები ხელისუფლების მხრიდან უნდა მიჩნეულიყო, როგორც უპირატესი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი. რუსეთის არცერთი კანონით აკრძალული არაა ადვოკატის მიერ თავის კლიენტთან შეხვედრისას ჩანაწერების გაკეთება, ასევე კლიენტსაც უფლება აქვთ თავის ადვოკატს უკარნახოს გარკვეული ინსტრუქციები, ან შეისწავლოს მათ მიერ მომზადებული მასალები. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის ადვოკატის ჩხრეკა ყოვლად დაუსაბუთებელი იყო. მიუხედავად ამისა, რუსეთის სასამართლოებმა უგულებელყველი ის ფაქტი, რომ ჩანაწერების ამოღება მოხდა ადვოკატისა და მისი კლიენტის უფლებების დარღვევით.

სასამართლომ დაასტენა, რომ ბატონი ხოდორკოვსკის პატიმრობის ვადის გაგრძელება არ იყო დასაბუთებული და შესაბამისად დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.

კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი (პატიმრობის შეფარდებისას სასამართლო განხილვების დროს არსებული პროცედურული დარღვევები)

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი შემდეგი ოთხი ეპიზოდის შემთხვევაში:

პირველი, 2003 წლის 23 დეკემბერს პატიმრობის შეფარდების საკითხის განხილვისას ბატონი ხოდორკოვსკის ადვოკატებმა საქმაოდ გვიან მიიღეს 300-გვერდიანი შუამდგომლობა პატიმრობის მოთხოვნის თაობაზე პროკურატურის მიერ და არ პქონდათ საშუალება თავისუფლად დაკავშირებოდნენ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფს. ამან არახელსაყრელ პირობებში ჩააყენა ბატონი ხოდორკოვსკი პროკურატურასთან მიმართებაში.

მეორე, 2004 წლის 20 მაისის განხილვა, პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე, როდესაც ბატონ ხოდორკოვსკის 6 თვით გაუგრძელდა ეს ვადა, ჩატარდა განმცხადებლისა და მისი ადვოკატების გარეშე.

მესამე, რუსეთის სასამართლეობის მიერ არ იქნა განხილული ბატონი ხოდორკოვსკის 2004 წლის 16 ივნისის განცხადება გათავისუფლების მოთხოვნის თაობაზე.

და მეოთე, სასამართლოებმა ბატონი ხოდორკოვსკის საჩივარი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე, რომელიც შეტანილ იქნა 2004 წლის 2 აპრილს, განიხილეს ერთი თვისა და ცხრა დღის შემდეგ.

კონკენციის მე-18 მუხლი (მთავრობის ქმედებებში პოლიტიკური მოტივაციის მტკიცების შეხახებ)

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონი ხოდორკოვსკის საქმე შესაძლოა, არძრავს გარკვეულ ეჭვს იმის მიმართ, თუ რა იყო რეალური მიზეზი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მისთვის (განმცხადებლისათვის) სისხლისსამართლებრივი დევნის არძვრაში. თუმცა, ამგვარი დევნის აღძვრისათვის არსებულ პოლიტიკურ მოტივებს ესაჭიროება უდავო მტკიცებულება, რაც ამ შემთხვევაში არ იყო წარმოდგენილი.

ის ფაქტი, რომ ბატონი ხოდორკოვსკის პოლიტიკური ოპონენტები ან ბიზნეს კონკურენტები შესაძლოა, სარგებელს ნახავდნენ მისი დაპატიმრებით, არ უნდა გამხდარიყო ხელისუფლებისათვის დაბრკოლების მიზეზი მისთვის ბრალის წაყენების საკითხში, თუკი არსებობდა სერიოზული ბრალდებები მის წინააღმდეგ. პოლიტიკური სტატუსი არ იძლევა იმუნიტეტის გარანტიას. სხვა შემთხვევაში, ნებისმიერს ბატონი ხოდორკოვსკის ადგილას ისევე შეუძლია მსგავსი განცხადებების გაკეთება და რეალურად შეუძლებელი იქნება ასეთი პიროვნებების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბატონი ხოდორკოვსკის მიმართ წაყენებული ბრალდება ეფუძნებოდა „დასაბუთებულ ეჭვს“ და ამგვარად, შეესაბამებოდა კონკენციის მოთხოვნებს. სასამართლო ასკვნის, რომ ამ შემთხვევაში არ დარღვეულა კონკენციის მე-18 მუხლი მე-5 მუხლთან მიმართებაში.

კონკენციის 41-ე მუხლი (სამართლიანი დაქმაყოფილება)

კონკენციის 41-ე მუხლის გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის მთავრობამ ბატონ ხოდორკოვსკის უნდა გადაუხადის 10,000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 14,543 ევრო – ხარჯებისა და ნაჯხარჯების დასაფარად.

კონკენციის 46-ე მუხლი (განჩინების აღსრულებისათვის საჭირო ზომები)

სასამართლომ უარყო ბატონი ხოდორკოვსკის მოთხოვნა რუსეთის მთავრობისათვის მიეთითებინათ კონკრეტული ზომები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო განჩინების აღსრულება და დაადგინა, რომ ასეთ ზომებზე ზედამხედველობა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება იყო.